№ 7

სამშაბათი, 12 იანვარი 1899 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 7

სამშაბათი, 12 იანვარი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარია
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## „ივერია“

გამოვა 1899 წელსაც

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

**ტფილისი,**

**„ივერიის“ რედაქცია,**

ნიკოლოოზის ქუჩ. 21.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიას სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა და ბაქოში, სიდდეკელის წიგნის მაღაზიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ქალანთაროვის ქარვასლის პირ-და-პირ.

**ტელეფონი № 227.**

სატელეგრაფო ადრესი:

**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

შეღავათი წლიურ ხელის-მომწერთათვის: ვინც გაზეთს ამ თავითვე მთელის წლით დაიბარებს, იმას შეუძლიან წლის ხელ-მოსაწერი ფული ნაწილ-ნაწილად შემოიტანოს ამგვარად: ხელის-მოწერის დროს 3 მან., პირველ მარტს—2 მან., პირველ მაისს—3 მან. და პირველ სექტემბერს—2 მან. სოფლის მასწავლებელთ გაზეთი წელიწადში 8 მან. დაეთმობათ, ნახევარის წლით 4 მან.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ხავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ვ. მ ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ი. ბაბანასიანცი.**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**თ. პროტასევიჩი**—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

**ზ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**გ. გურკო.** 1¼—2¼ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**გ. მ. მახვილაძე**—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

**ა. ნ. შპაკოვსკი**—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

**ბ. ა. ნავასარდიანი**—6½—7 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памяти. Воронцову.

(—1—წ)

## მთავრობის განკარგულებანი

**გადაყვანილ იქმნენ:** ყუბანის მე-4 ბატალიონის სოტნიკი თავ. ილია გრუზინსკი—ყაზახთა ჯარის მთავარ-სამმართველოში; მე-20 არტილერისტთა ბრიგადის კაპიტანი ყაზბეგი—კავკასიის გრენადერთა ბრიგადაში.

**დანიშნულ იქმნა:** სურამლიანის მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწე ორახელაშვილი — შარურო-დარალაგეზის მომრიგებელ მოსამართლედ.

**გამწესებულ იქმნა:** გენერალ-მაიორის შვილი ლოლობერიძე—თემირ-ხან-შურის ქალაქის პოლიციის შტატში.

**დათხოვნილ იქმნა:** თავისისავე თხოვნით ავადმყოფობისა გამო სამსახურიდგან დუშეთის მაზრის მცხეთის ბოქაული ჯიჯავაძე-მიხაილოვი.

## ახალი ამბავი

*** ქალაქის გამგეობამ 9 იანვარს განიხილა მოხსენება კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებისა, რომელიც სთხოვდა გამგეობას, ალექსანდრეს ბაღში ადგილი დაგვითმეთ სამეურნეო იარაღის დასაწყობად ფარდულის ასაგებადაო.

ქალაქის გამგეობამ დაადგინა მიეცეს საზოგადოებას სადგურის წინ სახლის სიგძეზე ადგილი 2 საჟენის სიგანე, იმ პირობით, რომ ფარდულის გეგმა წარუდგინოს დასამტკიცებლად ქალაქის გამგეობას.

*** გუშინ ქალაქის გამგეობამ ქალაქის ტეხნიკოსის ადგილას, რომელმაც თავისს თანამდებობაზე უარი განაცხადა, დანიშნა კურსკი-ხარკოვი-სევასტოპოლის რკინის გზის ინჟენერი პ. ა. ზურაბიანცი.

*** გუშინ, 11 იანვარს, ქალაქის გამგეობამ განიხილა საქმე შესახებ იმისა, რომ მცირე შემოსავლიან სახლების პატრონებს შეღავათი მიეცეთ დაფასების გარდასახადის მხრივ. აქამდე ისეთი წესი არსებობდა, რომ იმ პატრონთ, რომელთა მამული და შენობა 500 მანათზე ნაკლებ არის დაფასებული, დაფასების გარდასახადი არ ერთმეოდათ, თუ კი ამ მამულისა და შენობის პატრონთ სხვა რამ მამული არა აქვთ ქალაქში. ქალაქის გამგეობამ დაადგინა სთხოვოს საბჭოს, რომ ამას იქითაც იგივე წესი დარჩესო.

*** ქალაქის გამგეობა ცხენის რკინის გზის საქმის დამთავრების შემდეგ წარუდგენს საბჭოს თავისს მოხსენებას ახალისა და საუკეთესო წეს-რიგით ქუჩების მოკირწყვლის შესახებ.

*** პარასკევს, 8 იანვარს, კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს სხდომა ჰქონდა. საბჭომ ამ სხდომაზედ განიხილა ოზურგეთის მაზრის სოფ. ლანჩხუთისა და ნიგოითის მცხოვრებელთა შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ მდ. რიონის მარჯვენა მხარეს ხუთის ვერსის მანძილზედ კედელი იქმნას გაყვანილი წყლის შესაკავებლად ადიდების დროს. საბჭომ, განიხილა რა შუამდგომლობა, აარჩია განსაკუთრებული კომისია, რომელსაც მიანდო ამ საქმის ადგილობრივ შესწავლა. კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ: თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი, ა. ქალანთარი, ვ. ა. სტაროსელსკი, გ. კოლჩევსკი, ი. ვ. ფიგუროვსკი, ინჟენერ-გიდრავლიკი სოფრონსკი, თავ.

## ფელეტონი

### თავის განწირვა

ამბავი.

მატილდა სერაოსი.

როდესაც ერთმანეთის სიყვარულით დამტკბარნი ფლავია და ცეზარი განმარტოებულს ოთახში ისხდნენ, ფლავიას ხშირად უყვარდა ხოლმე თავისის წარსულის მოგონება, იმ წარსულისა, როდესაც ჯერ ბავშვი იყო და მახლობელთა სიყვარული და ალერსი არ აკლდა. იგი დაფიქრებული შეჰყურებდა ხოლმე ერთს წერტილს და უამბობდა ცეზარს განვლილს ნეტარებას, უკვე წყვდიადით დაფარულს ბავშვობის დღეებს, როდესაც უდარდელი ცხოვრობ. და თავისის მოსიყვარულე დედის ქერ ქვეშ. ამ დროს ფლავიას რაღაც მწუხარება, კაეშანი მოაწვებოდა ხოლმე გულზედ და თვისდაუნებურად ჩურჩულით გაიძახოდა, „დედა... ჩემი საყვარელი დედა....“

რათა თავიდგან მოეშორებინა მწარე ფიქრები, ფლავია სტაცებდა ხოლმე ხელს ცეზარს, შეჰხედავდა პირდაპირ თვალებში და ეუბნებოდა:

— უკეთესია შენ მიამბო რამე შენის წარსულის შესახებ.

ცეზარი მოღიმარი, პაპიროზის წევით ეუბნებოდა:

— მე ჯან-საღი, ღონიერი ბავშვი ვყავი, ცელქი და მოუსვენარი. მიყვარდა ჩხუბი და აურ-ზაური. აი, ჩემო კარგო, ამის მეტი ჩემის წარსულის შესახებ არაფერი შემიძლიან გიამბო.

— მეტი არაფერი?

— არაფერი, ჩემო კარგო, სულ ეს არის.

— მაშ მიამბე შენის შვილის შესახებ.—თითქმის ხვეწნით ეუბნებოდა ქალი.

ამ სიტყვების გაგონებისთანავე ცეზარი ერთს წუთს ფიქრს ეძლეოდა. იმის ტუჩებზედ ღიმილი ხელად ჰქრებოდა. მაგრამ რა შეჰხედავდა ფლავიას სახეს, რომელიც ასეთის მუდარებით, სიყვარულით იყო მისკენ მიქცეული, იგი ხელ-ახლა მხიარულდებოდა და იმისი ოდნავ დანაოჭებული შუბლი თავისუფლად იშლებოდა. ცეზარი გატაცებით იწყობდა ლაპარაკს თავისის შვილის შესახებ, რომელსაც სახელად პაოლო ერქვა. პაოლო უკვე ათის წლისა შესრულდა.

ფლავია გულ დასმით უგდებდა ყურს მამის ნაამბობს.

— თმა ისეთივე აქვს, როგორც შენა?

— დიაღ, სწორედ ასეთი, მაგრამ უფრო ხუჭუჭი და მოხდენილი. საშინლად სწყინს ხოლმე, როდესაც ვეუბნები, თავზედ პარიკი გადევს-მეთქი. პაოლო მეტად თავ-მოყვარეა და სწყინს, როდესაც დასცინიან. ტირილი თითქმის არც-კი იცის. როდესაც საწყენს რასმეს ვეტყვით, საშინლად გაყვითლდება ხოლმე, კუნჭულში მიჯდება და ხმა გაკმენდილი ზის. ამ შემთხვევაში დიდს უფრო ჰგავს იგი, ვიდრე ბავშვს.

— იქნება მეტად მგრძნობიარე ბუნების პატრონია.

— ასე თუ ისე, უნდა ვეცადო გადავარჩინო ამას. ცხოვრებაში უბედური იქნება, თუ ასეთი გული შერჩა: უბრალო რამ გულს დაუთუთქავს.

სიჩუმე ჩამოვარდა. ორივენი ფიქრს მიეცნენ. ცეზარმა მოიწადინა ლაპარაკის განახლება, მაგრამ, თითქოს ენა დაებაო, ორი სიტყვა ველარა სთქვა. პაოლოს მოგონებისათანავე, ცეზარს თვალ წინ წარმოუდგა უმანკო სახე ახალგაზრდა, მოტყუებულის ცოლისა. ცეზარს ენა არ ემორჩილებოდა ცოლის სახელი წარმოეთქვა იმ ქალის წინაშე, რომლის მიმართ სიყვარულმა იმისი გული სავსებით დაიმონავა და განდევნა იქიდგან წინანდელი სიყვარული. ფლავია უეცრად ფეხზედ წამოიჭრა და ცეზარს მიუახლოვდა.

— რატომ არ გინდა შენი ბავშვი მოიყვანო და მაჩვენო?—აკანკალებულის ხმით შეეკითხა იგი.

როდესაც ფლავიამ პირველად მიჰმართა ასეთის თხოვნით ცეზარს, ამ უკანასკნელმა უკმაყოფილოდ წარმოსთქვა „რა სისულელეა!“-ო. მაგრამ ფლავია არა სცხრებოდა და ყოველთვის, როდესაც-კი შემთხვევა ეძლეოდა, განუმეორებდა ხოლმე თავის თხოვნას.

ცეზარი ტყუილად ცდილობდა სიტყვის ბანზედ შეგდებას, ფლავია თავისას არ იშლიდა. ბოლოს გაჯავრებულმა წამოიძახა:

— ბავშვი დედის ხელშია და ის კი არ გამოუშვებს.. მე მგონი უნდა გესმოდეს ეს...

ამ სიტყვებმა მთელი ალიაქოთი გამოიწვია. ფლავია ტირილით უსაყვედურებდა ცეზარს, წყევლა-კრულვით იხსენიებდა იმ დღეს, როდესაც პირველად იმას შეჰხვდა. ცეზარმა დამშვიდება დაუწყო; მაგრამ ქალის გულის დაკავება ამ დროს ძნელი იყო. ფლავიამ თავი ველარ შეიკავა და ყველაფერი წარმოსთქვა, რაც აქნამდის გულზედ დიდ ლოდად ედო, რაც დღემდის ჰღრღნიდა და ათას ნაკუწად აქცევდა იმის გულს. მწარე ქვითინით იგი ჰკიცხავდა თავის თავს, თავისს გაფუჭებულ ცხოვრებას, რომლის წყალობითაც დარღვეულ იქმნა მყუდროობა და ბედნიერება ოჯახისა.

ქალი მხოლოდ მაშინ დაწყნარდა, როდესაც ცეზარი დაჰპირდა, ბავშვს მოვიყვანო.

— ხომ დასტოვებ ჩემთან ცოტას ხანს?—შეეკითხა იგი გახარებული.

— დავსტოვებ, ჩემო კარგო, მხოლოდ ნუ სტირი.

— ერთს საათს დასტოვებ?

— ერთს საათს... ერთს საათს...

— ოჰ, ჩემო საყვარელო, მე ეხლა ბედნიერი ვარ!!. სიხარულით წამოიძახა ქალმა და დამშვიდებული სავარძელს მიენდო.

—

— პაოლო, — უთხრა ცეზარმა ბავშვს, როდესაც ფლავიას ხახლში შეიყვანა,—აი, ამ ქალს უნდა შენი ნახვა.

ბავშვმა შეჰხედა თავისის შავის თვალებით და გაიღიმა.

— ახ, რა მშვენიერი ბავშვია, რა კარგი რამ არის,—სიხარულით წამოიძახა ქალმა და თან ყურში წასჩურჩულა ცეზარს:—აბა ჰკითხე, ცეზარ, მაკოცებს თუ არა?

— პაოლო, აკოცებ ამ ქალს?

— ჰო, ვაკოცებ.—მიუგო ბავშვმა და ხელზედ აკოცა ფლავიას.

— ჰხედავ, რა ზრდილი კავალერია? ყოჩაღ პაოლო!.. ალტაცებით წარმოსთქვა მამამ.

ფლავია თვალ-დაშტერებით დააცქერდა ბავშვს.

— ხომ დარჩები, ჩემო კარგო, ამ ქალთან სანამ მე მოვალ?—ჰკითხა მამამ.

— ჩქარა დაბრუნდები, მამა.

— ჰო ჩქარა დავბრუნდები.

ცეზარმა და ფლავიამ ვერ გაბე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. ერისთავი და სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილების ვიცე-პრეზიდენტი ბ-ნი ხოჯაევი. ამასთან საბჭომ დაადგინა სთხოვოს ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას დანიშნოს თავისი წარმომადგენელი ამ კომისიაში.

*** ცნობილს მოქანდაკეს ფ. ი. ხოდოროვიჩს გაუკეთებია ნიმუში ძეგლისა სახსოვრად რუსეთის ჯარის შემოსვლისა ტფილისში (26 ნოემბერს 1798 წელს). ძეგლის ერთი მხარე წარმოადგენს მარსს, მარცხენა მხარეს სდგას ქართველი ქალი ისეთის სახით, რომ ეტყობა დაღლილია, ეს ქალი წარმოადგენს საქართველოს და მარჯვენა ხელი გაუშვერია რუსეთისაკენ. რუსეთს წარმოადგენს აგრეთვე ქალი პორფირით, თავზე მუზარადი ჰხურავს, მარცხენა ხელით დაბჯენილია ფარზედა და ხმალზე; ქართველი ქალი მარცხენა ხელით დაბჯენილია ფარზე და ხელში გადატეხილი ხმალი უჭირავს. ცოტა ზევით არის მარსი, რომელსაც სახე რუსეთისაკენ აქვს. მეორე მხარეს წარმოდგენილია ხელმწიფე პავლეს დროის ჯარის კაცი, რომელსაც ცალი ფეხი შემოუდგავს საქართველოში, ამ ჯარის კაცის პირდაპირ სდგას ქართველი კაცი, მარცხენა ხელი გულზედ მიუდვია, სალამის ნიშნად, მარჯვენათი-კი რუსის ჯარის კაცს აზარფეშას აწოდებს.

*** ინჟენერს ლინდლეის ფრანკფურტიდგან გამოუგზავნია ქალაქის გამგეობისათვის წერილი, რომელშიაც მოხსენებულია, თუ ქალაქსა ჰსურს, შევადგენ პროექტს იმისას, რომ მდ. წალკისა და სხვა წყაროებიდგან მამადავითის მთაზე წყალი იქმნას გამოყვანილიო. აქ ხელოვნურად გაიმართება ჩანჩქარი, რომლის ძალაც საკმაო იქმნება ქალაქის ელექტრონით განათებისათვის, რკინის გზის მოძრაობისათვის ელექტრონისავე ძალით და კიდევ სხვა სამრეწველო საქმეთათვის. გარდა ამისა მოირწყვება მთელი მთა, გაიმართება აგარაკები, გაშენდება ტყე და ბაღებიო.

*** კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარიამ გაუგზავნა კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭოს ვაჭრობისა და მანუფაქტურის დეპარტამენტისაგან მიღებული მე-3 ხარისხის დიპლომი, რომელიც მიეცა ტფილისის საბაღოსნო სკოლას ნიჟნი-ნოვგოროდში გამართულ სრულიად რუსეთის გამოფენაზედ წარდგენილ ექსპონატებისათვის.

*** კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების საბჭომ, განიხილა რა მოსკოვის სამეურნეო საზოგადოების მოწერილობა სრულიად რუსეთის პურის ბანკის დაარსების შესახებ, დაადგინა მიანდოს საზოგადოების წევრს ა. ქალანთარს ამ საგნის შესწავლა და იმისს შესახებ მოხსენების წარდგენა საზოგადოებაში.

*** 12 იანვარს ტფილისის სახელმწიფო თეატრში წარმოდგენა იქმნება გამართული ხარკოვის უნივერსიტეტის იმ შეუძლებელ სტუდენტთა სასარგებლოდ, რომელთაც ტფილისის გიმნაზიებში დაამთავრეს სწავლა.

*** მკითხველებს ეხსომებათ უთუოდ, რომ 1898 წელს 22 ოქტომბერს ქუთაისის გუბერნიაში, ზეკარის გზა-ტკეცილზედ ყაჩაღებმა გაძარცვეს 30 მგზავრი. როგორც ეხლა გაზ. „ყარსი“ იუწყება, მისს იმპერატორებით უდიდებულესობას დედოფალს მარიამ თეოდორეს ასულს აბასთუმანში ყოფნის დროს შეუწირავს 300 მანეთი ამ გაძარცულთა სასარგებლოდ.

*** ადგილობრივ რუსულ გაზეთებს პეტერბურგიდგან დეპეშით ატყობინებენ: უმაღლესის ბრძანებით სამთო ინჟენერი შოსტაკი დანიშნულ იქმნა კავკასიის სამთო გამგეობის უფროსად.

თემირ-ხან-შურის მომრიგებელ-მოსამართლის თანაშემწე კომიარსკი დანიშნულ იქმნა ზუგდიდის მომრიგებელ მოსამართლედ.

*** გაზ. „კავ.“-ს სიტყვით შინაგან საქმეთა სამინისტრომ გადასდო 200 ათასი მანეთი იმათ დასაჯილდოვებლად, ვისაც 1899 წლის პირველ ნახევარს ჭირიან საქონელს დაუხოცვენ.

*** „ტფ. ფურც.“ იუწყება, რომ წელს განზრახული სამეურნეო გამოფენა ტფილისში არ მოხდება, რადგანაც სამეურნეო საზოგადოებას საჭირო ფული არა აქვსო.

*** იგივე გაზეთი იუწყება, რომ ტფილისის სახაზინო თეატრში გაზაფხულზე წარმოდგენებს გაჰმართავს ხარკოვის სათეატრო დასი ბ-ნის სოლოვიოვისა.

*** „კავკასს“ დეპეშითა სწერენ პეტერბურგიდგან, გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ კახეთის რკინის გზის სიგრძე ტფილისიდგან თელავზე ახ მეტამდე იქმნება 221 ვერსი. ამ რკინის გზის გაყვანა დაჯდება 13 მილიონ მანათად.

*** ზუგდიდი. ჩვენში ძალიან გახშირებულია ყვავილი, ნამეტურ ვაჭართა შორის. ერთი ოჯახი თითქმის სულ მთლად ამოსწყვიტა ამ სენმა, და თანდათან უფრო ვრცელდება. მიზეზი ყვავილის ასე გახშირებისა გახლავსთ, სხვათა შორის, ის, რომ ერთი საავათმყოფო სახლი არა აქვთ მთელის დაბის მცხოვრებ ვაჭრებს და ყვავილით ავადმყოფნი თავიანთ დუქნებშივე წვებიან (უკანა ოთახში), სადაც ასი კაცი მაინც გაივლ-გამოივლის დღეში, ანუ სავაჭროდ შევა იქ.

აქ მუდმივი წვიმებია.

*** კახეთიდგან სწერენ „Нед.“-ს, მოუსავლობამ და პურის ფასის აწევამ რუსეთის შიდა გუბერნიაში, კახეთზედაც იმოქმედა. სექტემბერში ფუთი ფქვილი ფასობდა 80 კაპ.—1 მან., ეხლა 1 მან. 40 კაპ. დღითი დღე ფასი უფრო იწევს.

*** ნაძალადევში მცხოვრებმა, ამიერ-კავკასიის რკინის გზის კონდუქტორმა იროდიონ ოქრუაშვილმა 9 იანვარს განაცხადა პოლიციაში, რომ სახლიდგან ვიღაც ქურდებმა მომპარეს სხვა და სხვა ნივთები 277 მანეთისაო. ქურდებს კარების კლიტე გაეტეხათ და ისე შესულიყვნენ. ეჭვი მიიტანეს სიღნაღის მაზრის მცხოვრებ პაპო კანაშვილზედ.

*** გაზ. „მშაკს“ სიღნაღიდგან სწერენ შემდეგ ამბავს, რომელიც ადგილობრივ სომეხთა ეკკლესიაში მომხდარა წარსულის წლის 22 დეკემბერს: ერთს ხნიერ კაცს (52 წლისას) ჯვარი უნდა დაეწერა ახალგაზდა 16 წლის ქალზედ. როდესაც ქალი ეკკლესიაში შევიდა და ხალხი დაინახა, ტირილი დაიწყო. ერთმა იქ დამსწრეთაგანმა წამოიძახა, რომ ქალს თავისს ნების დაურთველად ათხოვებენო. სხვებიც დაემოწმენ და ერთი ყვირილი და ხმაურობა ატყდა. დამსწრეთ მოითხოვეს, მღვდელს ეკითხნა ჰსურს თუ არა ქალს მისთხოვდეს საქმროს, ხოლო როდესაც მღვდელმა ჰკითხა, ქალმა უარი განაცხადა და მაშინვე შინ გაუშვეს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

ს. ვანათი, (გორის მაზრა). ეს სოფელი მდებარეობს გორიდგან 30 ვერსის სიშორეზედ, ჩრდილოეთის მხარეს. იგი მშვენიერი საზაფხულო ადგილია ჰავის სიკეთით [?]. განათის რამდენისამე ნაბიჯის გადადგმაზედ ჩამოუდის გამგმა პატარა ღიახვი, რომელიც სავსეა წრფლის კალმახით. აღმოსავლეთით წყლის მარცხენა ნაპირიდგან იწყება კლდიანი მთა; ამ მთაზედ სდგას განათის ციხე, რომელიც დიდი ხნის აშენებულია, მხოლოდ უკანასკნელ დროს შეუკეთებია ბატონიშვილს იულიონს, რისთვისაც ამ ციხეს აქ იულიონის ციხეს ეძახიან.

განათში საზოგადოდ სახლმწიფო გლეხები სცხოვრობენ. თუმცა აქაური მდებარეობა კარგია, მაგრამ სახნავი მიწები ძალიან ნაკლებად არის. თითქმის ყველა აქაური გლეხი, გაზაფხულდება თუ არა, მიდის ახლო-მახლო მდებარე სოფლებში, სადაც იღებს ხოლმე ყანებს შესამუშავებლად. ერთის სიტყვით, თუ აქაური გლეხი გარედ არ გავიდა სამუშაოდ, მარტო განათის მამულით კუჭს ვერ გაიძღობს.

განათში დიდი ხანია არსებობდა ერთ კლასიანი სკოლა მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების ხარჯით. ეს სკოლა წარსულ წლის ენკენისთვიდგან გადაკეთებულ იქმნა ხსენებულ საზოგადოების მიერ ორ-კლასიან სასწავლებლად ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსის კირიონის მეცადინეობით. სასწავლებლისთვის აგებულია ორ-სართულიანი ქვითკირის შენობა, სადაც მოთავსებულია: სასწავლო ოთახები, შორიდგან მოსიარულე მოსწავლეებისთვის ღამე სადგომი ოთახი, ორი მასწავლებლისა, მღვდლისა და დიაკვნისათვის სადგომი და სხ. პირველი მაგალითია ჩვენს მაზრაში ამნაირი გემოვნებით აგებული შენობა სკოლისა და საეკლესიო კრებულისათვის.

აქაურ ბლაღოჩინის იოანე კაპანაძის გულმოდგინე მეცადინეობით და ჩაგონებით განათელებმა ააშენეს პატარა, მაგრამ მეტის-მეტად კოხტა ეკკლესია. გაზაფხულისთვის ეს ეკკლესია სრულიად მზად იქნება. ბლაღოჩინმა მამა იოანე კაპანაძემ ფულადაც საკმარისი

დეს ბავშვის წინ ერთმანეთისათვის ხელი ჩამოერთმიათ, მხოლოდ გადაჰხედეს ერთმანეთს. ფლავიამ წაავლო ხელი პაოლოს და სასტუმრო ოთახში წაიყვანა, აივანისაკენ, რომ უფრო კარგად დაჰკვირვებოდა ბავშვის სახეს. პაოლო ქალის წინ იდგა და ორივე ხელებით ქუდს ატრიალებდა.

— თვალები ისეთი გაქვს, როგორიც მამაშენს,— უთხრა ფლავიამ და თან ალერსით თავზედ ხელი გადაუსვა.

— პირი-კი ისეთი მაქვს, როგორიც დედას,— ამაყად წარმოსთქვა ბავშვმა.

— განა არ გინდა, რომ მამასა ჰგვანდე?—შეეკითხა აკანკალებულის ხმით ფლავია.

— მამა ლამაზია, მაგრამ დედა იმაზედ უფრო ლამაზია,—მიუგო პაოლომ,— დედას გრძელი, გრძელი თმა აქვს და პაწაწკინა ხელები? თქვენ არ იცნობთ დედა ჩემს?

— არა.

— რატომ?

— არ ვიცი,—სთქვა ფლავიამ და თავი დახარა.

ბავშვმა ცნობის მოყვარეობით აათვალ-ჩაათვალიერა. ქალი წამოიჭრა და ხილი მოუტანა. პაოლომ მადლობა გადაუხადა, მაგრამ ხილი კი არ აიღო.

— რატომ არ იღებ?

— არ შემიძლიან ავიღო; გმადლობთ.

— ხომ გიყვარს ტკბილეულობა? აიღე პაოლო. სასწავლებელში გასწავლეს ეგა?

— არა, დედამ მასწავლა, მე სასწავლებელში არ დავდივარ.

— მაშ სადა სწავლობ?

— დედა მასწავლის. ხომ ვერ დარჩება დედა მარტოდ-მარტო სამს საათამდე! ამიტომ თორმეტ საათამდე მასწავლის ხოლმე.

— მერე?

— მერე მე და დედა ვსადილობთ.

— მარტონი?

— მამა არასოდეს არ მოდის ხოლმე სადილად; არა სცალიან: იმას ძალიან ბევრი საქმეები აქვს.

ცოტას ხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

— აიღე, პაოლო, ეს ხილი!

— ძალიან ბევრია!

— წაიღე და ამხანაგებს გაუყავი.

— ამხანაგები არა მყავს.

— მაშ ვისთან თამაშობ ხოლმე?

— დედასთან, ის მეთამაშება.

— მერე სუყოველთვის გეთამაშება ხოლმე?

— არა.

— რატომ?

ბავშვმა შეჰხედა ფლავიას და ხმა არ ამოიღო. ქალი შეკრთა, შიშმა ელვასავით გადაურბინა სახეზედ; მაგრამ ბავშვმა ვერაფერი შენიშნა. იგი უთუოდ ვერ მიხვდა, რას ეკითხებოდნენ. ფლავიამ თავისუფლად ამოისუნთქა. ქალს რაღაც აწვებოდა, ჰხუთავდა, რომლისაგანაც ვერ განთავისუფლებულიყო.

— მაშ შენ არაფერი გასართობი არა გაქვს? შეეკითხა ხელ-ახლა ქალი.

— როგორ არა. დედა ჰკერავს ხოლმე, ფორტოპიანოს უკრავს, მე კიდევ სურათებიან წიგნებს ვათვალიერებ, ფიცრებისაგან პატარა ხუხულებს ვაშენებ ან ფანჯრიდგან გამვლელ-გამომვლელებს ვუყურებ.

— და ყოველთვის ეგრე მარტოდ-მარტო ხარ?

— დიაღ. მამა არა რჩება ჩემთან, რადგან ძალიან ბევრი საქმეები აქვს.

— მერე ვინ გითხრა, რომ ბევრი საქმეები აქვს?

— დედამ.

— ჰოო...

— როდესაც მოწყენილი ვარ, დედა ზღაპრებს მიამბობს ხოლმე. მხოლოდ ისეთი მწუხარე ზღაპრები იცის დედამ, რომ თითქმის ყოველთვის ტირილი მომინდება ხოლმე. თქვენ არ იცით სასაცილო, მხიარული ზღაპარი?

— არა, არ ვიცი, ჩემო კარგო. დედა საღამოობით გიამბობს ხოლმე ზღაპრებსა?

— დიაღ საღამოობით. ძალიან მინდა თეატრში წასვლა. ერთხელ მამამ წაგვიყვანა თეატრში მე და დედა. მაგრამ ეხლა მამას აღარ შეუძლიან თეატრში სიარული და შინა ვსხედვართ. სახლში გვიანა ბრუნდება და ჩუმათ შედის ხოლმე ოთახში, რომ არ გაგვაღვიძოს. მაგრამ სანამ მამა არ დაბრუნდება ხოლმე, დედას ყოველთვის ჰღვიძავს, ხან მეც მღვიძავს. „აგერ მამა დაბრუნდაო“ მეტყვის ხოლმე ჩუმად დედა. როდესაც მამა მოდის ჩემს საკოცნელად, მე და დედა თვალებსა ვხუჭავთ, ვითომ გვძინავს.

— მამა გკოცნის ხოლმე?

— დიაღ, მაგრამ მაშინვე ჩუმად მიდის.

— დედას არა ჰკოცნის?

— არა,—სთქვა ბავშვმა და დაფიქრდა.

— მაშ შენ და დედას ერთს ოთახში გძინავთ?

— დიაღ. წინად ეგრე არ იყო. მამა ერთის თვით სხვაგან წავიდა, ამიტომ დედამ თავის ოთახში დამაწვინა. მარტო ეშინიან. მას შემდეგ ეგრე დარჩა.

ფლავიამ ზურგი სავარძელს მიაყრდნო და თვალები დახუჭა. ბავშვმა გაკვირვებულის თვალებით შეჰხედა: ქალი არაფერს არ ამბობდა, არც ინძრეოდა. პაოლოს თან და თან გულში შიში ეპარებოდა; რაღაც გამოურკვეველ შიშსა ჰგვრიდა ეს ლამაზი ქალი. ბავში ქუდს ატრიალებდა ხელში და ნატრობდა ნეტა მამა მალე მოვიდესო. ფლავიამ თვალები გაახილა და თავი მაღლა აიღო. სახეზედ ისეთი ტანჯვა ეტყობოდა, რომ ბავშვმა ხელი გაუწოდა და როგორც დედას მიჰმართა:

— რა მოგდის?

ქალმა აკოცა და ქვითინი ამოუშვა. იმის ცრემლები პაოლოს ლოყასა და კისერზედ ეწვეთებოდა.

— ნუ ტირით სინიორა, ნუ ტირით, ეგ არაფერია.

— აღარ ვტირებ, აღარ. მაკოცე ერთხელ კიდევ, ისე, როგორც დედასა ჰკოცნი ხოლმე.

ბავშვმა ორივე ხელი მოჰხვია კისერზედ და აკოცა.

— მშვიდობით, ჩემო მეგობარო! აქ მოიცადე ცოტა ხანს, მამა ამ წუთს მოვა და წაგიყვანს; მე-კი უნდა წავიდე.

— შეიძლება დედას უთხრა, რომ მე აქ ვიყავი?

— რადა მკითხავ მაგას?

— მამამ ამიკრძალა, დედას ნუ ეტყვი, რომ აქ იყავიო.

ფლავია ცოტა ხანს ჩაფიქრდა. აშკარად ეტყობოდა, რომ თავისს თავს ძალას ატანდა, იმის გონებაში აზრთა ბრძოლა იყო.

— უთხარი დედას, რომ ფლავიასთან იყავი.—მიუგო ქალმა და ხელი ბავშვის ხუჭუჭს თმას გადაუსვა, თითქოს დალოცვას აპირებსო.

—

ამ დღიდგან ცეზარი და ფლავია სამუდამოდ დაშორდნენ ერთმანეთს.

ი. ა—ძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახმარება აღმოუჩინა განათლებას. ახალი ეკკლესია სულ რამდენიმე ნაბიჯის სიშორეზედ არის ახალ აშენებულისაგან ორ-კლასიან სასწავლებლიდგან.

მარტო განათლება-კი არ გაბედნიერდნენ ორ-კლასიან სკოლის დაარსებით, არამედ მთელი პატარა ლიახვის ვანათ ზემოთ ხეობაც, რადგან ამ სკოლაში ყველას თანასწორი უფლება აქვს შვილების აღზრდისა.

დეკემბრის პირველ რიცხვებში სკოლის ახალის შენობის დასათვალიერებლად მობრძანდნენ აქ ყოვლად სამღვდელო კირიონი, გენერალი კამაროვი, რომელიც მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების წევრად ითვლება და საქართველოს ეგზარხოსის კანცელარიის გამგე ბ-ნი პეტროპავლოვსკი. სოფლელებმა გაიგეს რა, მობრძანდებიანო, მადლობის გამოსაცხადებლად თავი მოიყარეს ახალ აგებულ სკოლის აივანზედ.

მეგობარი სტუმრები, მოსვლისთანავე, სასწავლო ოთახში შებრძანდნენ, სადაც 68 მოსწავლე დახვდათ. ძალიან მოიწონეს სტუმრებმა სკოლის შენობა. რადგან მოიჯარადრე სოლომონ კასრაძემ იზარალა შენობაში, დაჰპირდნენ მას შემწეობის აღმოჩენას და კიდეც აღასრულეს დანაპირები. ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების საბჭომ დაადგინა—მიეცეს დამატებითი ფული კასრაძეს 300 მ. საჩუქრივითო. ამნაირად, კეთილად დაწყებული საქმე კეთილადვე დაბოლოვდა. საპატიო სტუმრებმა სკოლის მოწაფეებისთვის შობის ხის მოსართავად რამდენიმე მანეთი დასტოვეს, რითაც ერთი-ორად გაორკეცდა მათის მოსვლით გამოწვეული სიხარული ბავშვებისა და მათის მშობლებისა.

აქეთ ქურდობა მალიან გახშირებულია; ისე ღამე არ გავა, რომ ზოგ სოფელში ცხენები, ძროხები, ხარები, ქათმები და ინდაურები არ დაიკარგოს. ერთის სიტყვით, რაზედაც-კი ხელი მიუწვდებათ ქურდებს, აღარას ჰზოგავენ. ასე გათამამებული ქურდობა ჯერ არ მოგვისწრებია ჩვენში.

26-ს ქრისტეშობისთვეს ს. მერეთში შეწვივნენ ქურდები ერთს გლეხს, რომელსაც მოჰპარეს უღელი ხარი. რა წამს გაიგეს მერეთლებმა, ყველა ფეხზედ დადგა და აზ. ფურცელაძეების მეთაურობით გამოუდგნენ ქურდებს. კვალი მიიტანეს ს. ელტურაში, სადაც ორ ხართან კიდევ სხვა ცხრა სული ხარიც იპოვნეს ნაქურდლები. უთუოდ, მერეთს გვიანობამდე ქურდები ვეღარ მიეკარებიან.

წრომელი

---

## როგორ მოვიხმაროთ ბანკებიდგან გამოსატანი ფული?

წავიკითხე „ივერია“-ში წერილი „ვ. წ.“-ისა იმ თანხის შესახებ, რომელიც უბრუნდება თავად-აზნაურობას.

დღეს „თავად-აზნაურობას“, ქართულს ნიადაგზედ აღმოცენებულს, თუმცა ბევრს უკიჟინებენ, მაინც და მაინც, როგორც სხვაგან, ჩვენშიაც იმათ მიუძღვის წინ უპირატესობა, თუმცა მრავალთა მათგანვე წასცხეს ჩირქი ამ წოდებასა. თუ აურ-ზაური ფეხს შესდგამს ერში, თემში, ტომში და თოხუმში, მაშინ ხომ ვაი ვაგლახია! „ავია თუ კარგიაო, ქალო, შენი ქმარიაო“. ამიტომ ურთიერთა წოდებრიულს ყიჟინს თავი ვანებოთ და გულ-დადებით შევხედოთ საშვილი-შვილო საქმესა, თორემ, ღმერთი, რჯული, რომ ამ დაუსრულებელი ყიჟინ-ბუზღუნაობით ყოველი საშვილი-შვილო საქმე იმარხება საუკუნოდ ჩვენთა მტერ-მოყვარეთა განსაძლიერებლად.

ეს ფული, რომელიც ეძლევა ეხლა ჩვენს თავად-აზნაურობასა (მე მოგახსენებთ ორივე გუბერნიის თავად-აზნაურობის შესახებ) იმ ოდნიდგან, რაიცა ერგებათ, გადასდონ იმდენი თანხა, რამოდენიც დასჭირდება ამ საშვილი-შვილო საქმეს, რომელსაც ეხლავ მოგახსენებთ.

დაარსდეს საერთო დედა-ბურჯული (ცენტრალი) დეპო ტფილისში, მისი განყოფილებანი, სადაც-კი მოითხოვს საჭიროება მათს არსებობასა, იმ აზრით, რომ ამ დეპომ თავისის განფენილის ფესვებით მოიკრიბოს ის განმაძლიერებელი ძალა-ნოყიერება, რომლითაც ჰსუქდება ეხლა სხვა. ყოველგვარი ნაწარმოები ჩვენის ერისა, ანუ სიმდიდრე მიწისა დარჩეს ქართველობასა და იმან ისარგებლოს, ამიტომ რომ იმაზედ უფრო უპრიანია. ერთის სიტყვით, ჩვენ გვინდა ეკონომიურად შეიარაღება და გამკლავება. ეხლა, ხმალი და ხანჯალი აღარა სჭრის! იმედია, რომ ამგვარი უნარი უფრო მეტად გასჭრის და მოგვაშორებს იმ წურბელას, რომელიც ცხენის წურბელობასაც არა სჯერდება და ბატონობასაც იჩემებს. რით არიან ის ვაჭატონები მედიდურ-მკვეხარანი?!. იმ სიმდიდრით ჩვენის ქვეყნისა, რომელიც ჩვენის ხელით იკრიბება, მოიღვაწება და ცალ ტყემლის ფასად მისდით იმათ მზამზარეულად. ამოდენა სიმდიდრე ქვეყნისა: ოქრო, ვერცხლი, სპილენძი, რკინა, ტყვია, გოგირდი, გვარჯილა, მარილი, მარმარილო, ლიტოგრაფის ქვები, ქვა-ნახშირი, ხე-ტყე, აბრეშუმი, ღვინო, პური, ქერი, ბრინჯი, ბამბა, ხილეულობა, ფრინველი, ნადირი და სხვ.

ვინ გაჰკვეთს პურის მაზანდას? ჩვენი ვაჭარი. როგორ კოდსა? სამიდან ოთხ ფუთამდის კოდს გადასჭრის ჩარჩი-ვაჭარი რვა აბაზიდგან და დიდი ქებაა, თუ თორმეტ ან თხუთმეტ აბაზამდის ავიდეს?

ვინ გაჰკვეთს ღვინის მაზანდას კახეთში? იგივე ჩარჩი ვაჭარი! როგორ? როგორც იმის სურვილია და ქეიფი! მატყლი, ყველი, საქონელი და ესენი ხომ, და ხელ ნაწარმოები, ფეხის მოსავალი, აღარ ითქმის.

ყოველი ესე რომ ავიცილოთ თავიდგან, საჭიროა თვალები გავახილოთ და ვარჩენოთ ქვეყნიერებას, რომ ქართველობასაც შესძლებია ეკონომიურად გამკლავება, თორემ ჩვენი ბანკები ისე მკაცრები არიან, რომ ბევრი აუტირებიათ (თუმცა არა ეყიჟინებათ რა ბანკებსაც) და გამოუსალმებიათ მამულ-დედულისათვის. „ივერია“-ში იბეჭდებოდა 1889-1891 წლებში წესდება ამ გვარის დეპოსი, ვგონებ მ. ყიფიანისა (აწ განსვენებულისა). ამის შესახებ კიდევ ბ-ნ ალ. კობიაშვილს, ბევრი ლაპარაკიც ჰქონდა და ბევრმა თანაუგრძნო, მარტო ქართლ-კახურად, თორემ ამერულად რომ თანაეგრძნოთ, ხომ საქმეთაც გარდაიქცეოდა ეს ბედნიერი აზრი. აი იმ წესდებით და ჩვენ მოწინავე ამა ჰაზრის თანამოაზრეთა დახმარებით ისე მოვაწყოთ საქმე, რომ სამელიორაციო ბანკსაც აჯობოს და სხვებსაც.

ამ დეპომ უნდა განაგოს გლეხიდგან დაწყობილის ყოველი მოსახლის, წოდების განურჩევლად, ნაწარმოების ბედ იღბალი, მოუპოვოს ჯეროვანი ჯილდო აქაც და, თუ საჭიროება მოითხოვს, საზღვარ გარეთაც. იქიდგანაც იმავე დეპომ უნდა მოუტანოს იმავე გლეხს დაწყობილი ლილა-ლახუსტაკიდგან გუთნამდისინ. შინაური ქონება თუ მოჰარბებული აქვს ვისმეს, ამ დეპომ უნდა გაუსაღოს. ჩვენს მუშა ხალხსა და მდიდარს თუ ეჭირვება რამე, დაწყობილი უბრალო ფეხსაცმელიდგან ქუდ-ბაღდადამდის და ჯამ-კოვზამდის, ერთის სიტყვით, რაც-კი დასჭირდება ჩვენს კაცს ხორციელ არსებობისათვის, რომ იგი ღირსეულად იხსენებოდეს და იცნობებოდეს, სულ ამ საზოგადო დეპომ უნდა განაგოს. იმედია, რომ ამ მცირე შენიშვნას მიაქცევენ ყურადღებას და განვითარებით შეხედავს თვითეული მის საშვილიშვილოდ მნიშვნელობასა. როდესაც ეს საქმე კარგად წავა, მაშინ ეკონომიურად გაძლიერებულს არ გაუჭირდება აღზრდა-განათლებაცა და სხვის ხელში შეყურებასაც მორჩება. ღმერთმან ინებოს, რომ კეთილად დაგვირგვინებულიყოს ეს აზრი.

ვინმე ხუცესი

---

# რუსეთი

—

— ამ წლის პირველ იანვრიდგან იმიერ-კასპიის რკინის გზა გზათა სამინისტროს ხელში გადავიდა.

— მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ საერო-განათლების სამინისტროს აზრადა აქვს დააარსოს საემირიციო კასსები სოფლის მასწავლებელთათვის. ამ საგნის შესამუშავებლად განსაკუთრებული კომისია იქმნა არჩეული, რომელიც მუშაობას გაზ. „Тор.-пром. Газ.“-ს სიტყვით, ამ წლის მარტში დაამთავრებს. აზრადა აქვთ მასწავლებელთ პენსიები დაუნიშნონ 15, 25 და 35 წლის სამსახურისათვის. დაენიშნებათ წელიწადში 50 მანეთიდგან 240 მანეთამდე.

— როგორც „Рус. Вѣд.“-ი იუწყება, საერო განათლების სამინისტროს აზრადა აქვს განსაკუთრებული კომისია დანიშნოს იმის გამოსარკვევად, თუ როგორ უნდა იდღესასწაულონ საშუალო სასწავლებლებმა პოეტის ა. ს. პუშკინის დაბადებიდგან ასის წლის შესრულება. სხვათა შორის ჰფიქრობენ საშუალო სასწავლებლის ყველა მოსწავლეებს დაურიგონ კრებული პუშკინის თხზულებათა.

— იმ კომისიას, რომელიც მოსკოვში იქმნა შემდგარი პუშკინის დაბადებიდგან ასის წლის შესრულების სახსოვრად გასამართ დღესასწაულების პროგრამის შესამუშავებლად, დაუდგენია გამართოს სოფ. მიხაილოვსკში, სადაც პუშკინი სცხოვრობდა, თავ-შესაფარი მოხუცებულ ლიტერატორთათვის.

— ფინლიანდიიდგან სწერენ რუსულ გაზეთებს, რომ აზრადა აქვთ ფინლიანდიაში ადგილობრივი ფული გააუქმონ და რუსული შემოიღონ.

---

# უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** გაზეთები იუწყებიან, რომ ყოველ დღე თათბირი აქვთ ერთმანეთთან ანტირევიზიონისტებს და გენერლებსო. იმის შემდეგ, რაც ბორეპერის განზრახვა არ განხორციელდა, გადასინჯვის მოწინააღმდეგენი ცდილობენ თურმე დაიყოლიონ საკასაციო სასამართლოს ორი წევრი სამსახურიდგან გამოვიდნენ და ამ რიგად როგორმე შეაჩერონ დრეიფუსის საქმის გამოძიებაო.

— გაზ. „Matin“-ი საინტერესო ცნობებს იუწყება დრეიფუსის წერილების შესახებ ცოლთან და ნათესავებთან. პირველი ცნობა საქმის გადასინჯვის შესახებ დრეიფუსს მიუღია ბრისონის განკარგულებით იმის შემდეგ, რაც მინისტრთა საბჭომ დაადგინა ეს საქმე საკასაციო სასამართლოსთვის გარდაეცათ. საყურადღებოა, რომ დრეიფუსს ასე ჰგონებია, ვითომც გენერლებს დაედგინოსთ საქმის გადასინჯვა და თავისს წერილებში დიდს მადლობას სწირავს თავისს უფროსად ნამყოფებს, განსაკუთრებით გენერალ ბუადეფრს.

— გერმანიის გაზეთები დიდს ყურადღებას აქცევენ საფრანგეთის პრეზიდენტის ზრდილობიანს საქციელს გერმანიისადმი. საქმე ის არის, რომ ფელიქს ფორს უთხოვნია გერმანიის ქვრივ დედოფალ ვიქტორიასათვის, რომ საფრანგეთში რომ მოხვალთ ინგლისიდგან, ჩემი სალონ-ვაგონით იმოგზაურეთ საფრანგეთშიო. ეს წინადადება არ მიიღო იმპერატრიცამ იმ მიზეზით, რომ ჩუმათ უნდა ვიმოგზაურო ინგლისიდგან, არ მინდა ვინმემ იცოდეს ჩემი ვინაობაო, მაგრამ დიდი მადლობა შეუთვალა საფრანგეთის პრეზიდენტს ასეთის თავაზიანობისთვის. გერმანიის გაზეთები ამბობენ, რომ ამ სასიამოვნო ცვლილებას საფრანგეთში გერმანია დიდის სიამოვნებით ეგებება და იქონიებს მხედველობაშიო.

—

**სერბია.** სერბიის მთავრობა წინანდებურადვე გულმოდგინედ დაეძებს სასესხებლად ფულს, რომელიც უნდა მისცეს გენერალისიმუსს მილანს, სერბიის ექს-კოროლს, მაგრამ ვერსად-კი ვერ შოულობს. ფულის სასესხებლად ამ ჟამად გაგზავნილია ლიბერალი სტოიანოვიჩი. ის უკვე იყო ვენაში, მაგრამ ვერა გააწყო-რა; ეხლა ბერლინში წავიდა და იქაც თუ ტყუილად ჩაუარა შრომამ, იქიდგან წავა პარიჟს და შემდეგ ლონდონში. ყველაზედ უფრო იმედი აქვს მთავრობას ინგლისისა, რადგან ჰფიქრობს, რომ ის რუსეთის ჯიბრზე ასესხებს ფულს სერბიასო. მაგრამ მომეტებული ნაწილი გაზეთებისა იმ აზრისა არის, რომ მილანს არ გაუმართლდება იმედი, რადგან მისი გულისათვის ინგლისი რუსეთს არ აწყენინებსო.

—

**ფილიპინები.** უკანასკნელ დროს ამერიკული და ინგლისური გაზეთები ხმას ავრცელებენ, რომ ამერიკის წინააღმდეგ გერმანია შველის აგვინალდოსო. სამაგიეროდ გერმანიას იმედი აქვს მიიღოს ფილიპინელებისაგან არხიპელაგის ერთ-ერთი კუნძული. და ეს თუ არ მოხერხდა, ქვა-ნახშირის საწყობი ადგილი მაინცო. გერმანიის ზოგიერთი გაზეთები იუწყებიან, რომ ეს ხმები სიმართლეს მოკლებულიაო; გერმანიის მთავრობამ რამდენიმე ხნის წინად ოფიციალურად განაცხადა ვაშინგტონში, რომ აზრად არა მაქვს ფილიპინების არხიპელაგის რომელიმე ნაწილის, თუ გინდ ქვა-ნახშირის საწყობი ადგილიც იყოს, მითვისებაო.

—

**იაპონია.** „ჯიჯი შიმპოს“ რედაქტორს, ნაკაო კომანოსუკეს, წარსულ დეკემბერში დიდი წიგნი გამოუცია, რომელსაც ეწოდების „გეგმა ქვეყნის დაცვისა“. ამ წიგნში ნაკაო ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ როგორი ადგილი უნდა დაიჭიროს იაპონიამ შორეულს აღმოსავლეთში და რა ადგილი უჭირავს და რა ძალის მქონეა თითოეული დიდი სახელმწიფო აზიის აღმოსავლეთ ნაწილში. ნაკაო, სხვათა შორის, ამბობს, რომ ინგლისის ჯარის სიმცირეს ვერ შეავსებს მისი ფლოტის სიძლიერე, და ამისათვის უკანასკნელ ხანებში ეს სახელმწიფო იძულებული იყო უკანვე წაეღო თავისი მუქარა ზოგიერთ დიდსახელმწიფოსადმი მიმართულიო. ბრიტანიის ფლოტი ჯერ კიდევ ბატონობს და მსოფლიო პოლიტიკაში ინგლისს ჯერ კიდევ დიდი ადგილი უჭირავს, მაგრამ როცა ციმბირის რკინის გზა დამთავრდება, რუსეთს საშუალება მიეცემა ჯარებით გაავსოს მთელი მანჯურია, სანამ ამის წინააღმდეგ რასმეს მოახერხებდეს ინგლისიო.

მზად არის, თუ არა იაპონია, წინააღმდეგობა გაუწიოს ამა თუ იმ დიდ სახელმწიფოსო? ჰკითხულობს წიგნის ავტორი. ეხლა ის უნდა ვსთქვათ, რომ ჯერ არ არის მზად, რადგან იაპონიის ნავთ-სადგურები ანუ საკმაოდ გამაგრებული არ არის ჯერ, და ანუ ეხლა კეთდებაო. მაგრამ, ნაკაოს სიტყვით, შიდა იაპონიაში მტერი ვერას დააკლებს იაპონელებს. იგი ამტკიცებს, რომ ისე რიგიანად არის განაწილებული ხმელეთის ჯარი მთელს ქვეყანაში და ძლიერ კარგადაც არის მომზადებული ყოველ შემთხვევისათვის, რომ თავს დასხმა თუ ვინმემ გაჰბედა, ვერას წაიღებსო. ქვეყნის გარეშე სამოქმედოდ ნაკაო ურჩევს მთავრობას ინგლისთან კავშირის შეკვრას. მისის აზრით, იაპონიისა და ინგლისის ფლოტს ერთად შეუძლიან წინააღუდგენ რუსეთისა და საფრანგეთის ფლოტს. ინგლისის მოცილენი არიან რუსეთი და საფრანგეთი, და მისი პოლიტიკა ჩინეთში იმავე გზას ადგას, რომელსაც იაპონია. ამისათვის ორივე სახელმწიფომ ერთად უნდა იმოქმედონ. იაპონიამ, ნაკაოს აზრით, თავისის მიზნის მისახწევად არავითარი მსხვერპლი არ უნდა დაზოგოს; მისი ხმა უნდა გაისმოდეს მთელის თავისის ძლიერებით; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ისეთსავე ადგილს დაიჭერს აზიაში, როგორიც ევროპაში უჭირავს იტალიას.

---

# დამაკვირდი

—

მარადის სასურველ და საწადელ დავადგე უდრისად ცხოვრებულისა ამას თავისა ჩემისათვის ლტოლვაჲ.

მთავარ ეპ. ტიმოთე

* * *

გამოთქმად შეუძლებელ არს: აუგებელის აგებულს შეზავება, დაუწყებელის დაწყებად შთამოსვლაჲ.

ანტონი I

* * *

ურცხვი არა აღვირ-ასხამს ენასა თვისსა, რომელიცა უნობს ნაადგ.

გიორგი ჯანთიშვილი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

პარიჟის ერთს დამზღვევ საზოგადოებას სულ ახალი დაზღვევა შემოუღია. ახლად ჯვარ-დაწერილთ შეაქვთ ამ საზოგადოებაში 500 ფრანკი იმ პირობით, რომ თუ ექვსის წლის განმავლობაში ხუთი შვილი ეყოლებათ და ყველანი ცოცხლები იქმნებიან, საზოგადოება გადაიხდის დედ-მამის სასარგებლოდ 60 ათას ფრანკს; თუ არა და შეტანილი ფული დაეკარგებათ.

* * *

უცხოეთის გაზეთები იუწყებიან, რომ დეკემბერში ძლიერი მიწის ძვრა ყოფილა ქვემო ავსტრიასა, შტირიასა, ზალცბურგსა და ალპიის სხვა ადგილებში. შტირიის მრავალ ადგილებში მიწის ძვრამ რამდენსამე წამს გასტანა და ამავე დროს მოისმოდა ისეთი ხმა, თითქოს მიწის ქვეშა ჰქუხსო. ტრიესტშიაც ძლიერი იყო მიწის ძვრა, ზღვა იმ სიმაღლეზე ისროდა ტალღებს, რომ წყალი ქალაქში გადმოვიდა. ზოგიერთ ქუჩებში ერთის ადლის სიმაღლეზე წყალი იდგა. სარდაფები და საქონლის საწყობები წყალით გაივსო. უფრო ძლიერ დაზიანდა ის საწყობები, სადაც ყავა და შაქარი ინახებოდა.

* * *

ერთს გერმანულს სამკურნალო ჟურნალში დაბეჭდილია წერილი მკურნალის შელერისა, რომელიც შემდეგს დარიგებას აძლევს ყველას, ვინც თამბაქოსა სწევს. ამ მკურნალს შეუმჩნევია, რომ ვინც თამბაქოსა სწევს, ხშირად ბევრს მათგანს კუჭი აქვთ დაავადებული და კბილებიც უფუჭდება. შელერი ამბობს, ძლიერ მავნებელია თამბაქოს მოწევა ღამე, უზმოზე და აგრეთვე იმ დროს, როცა კაცი მოძრაობაშია და ან აღმართზე ადის. გარდა ამისა, საჭიროა კაცმა ბოლი არ ჩაყლაპოს. უფრო-კი საჭიროა, პაპიროსი დიდ ხანს პირში არ ედოს კაცს და ხელში ეჭიროს. საზოგადოდ შელერი იმ აზრისაა, რომ თამბაქო უფრო კუჭსა სწყენს, ვიდრე ფილტვებს. თამბაქოს მოწევის შემდეგ საჭიროა კაცმა წყალში მარილი გახსნას და ამ წყალით გამოირეცხოს პირი დილით, ჭამის შემდეგ და დაძინების დროს.

* * *

საფრანგეთში აკეთებენ ერთგვარ ღვინოს, რომელსაც სახელად სიდრს ეძახიან. ეს ღვინო ვაშლისაგან კეთდება. ერთს კაცს გვარად ბოდენს გამოუკვლევია, რომ ვაშლის სიმჟავე 12—18 საათის განმავლობაში ჰხოცავს სახადის ბაცილებს. ბოდენმა დაჰბეჭდა ამის შესახებ წერილი და ურჩევს საფრანგეთის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას: ეცადეთ, როგორმე გავრცელდეს ვაშლის ღვინის გაკეთება, რომელიც სახადის დროს დიდს სარგებლობას მოუტანს ხალხსა, რადგანაც ეს ღვინო დაჰხოცავს სახადის ბაცილებსაო.

* * *

არგენტინის რესპუბლიკაში იმდენი კალია გაჩენილა, რომ ყანებს განადგურებას უქადის. მცხოვრებნი ძლიერ არიან დაშინებულნი და ხელებითაც-კი აგროვებენ კალიას. ბუენოს-ჰაერესის პროვინციაში დიდ-ძალი კალია გაუწყვეტიათ, მაგრამ კალიამ მაინც დიდი ზარალი მისცა ყანების პატრონებს.

## დეპეშა

8 იანვარი

**გელსინგფორსი.** „გენერალ-გუბერნატორმა, მიიღო-რა სასახლეში სეიმის წარმომადგენელნი და, ფიცის მიღების დროს, გარდასცა რა სიგელი და კვერთხი ლანდმარშალს, მიჰმართა მას მოკლე გრძნობიერის სიტყვით, რომლითაც უსურვა, რათა კვერთხი, რომელიც ნიშანია უფლებისა, თავდები იყვეს უმაღლესად ნაბოძების ფრიად ძნელის მონდობილების წარჩინებულად აღსრულებისაო.

**ლონდონი.** „Daily Mail“-ის დეპეშით ატყობინებენ შანხაიდგან, რომ ოგანუის პრავინციის 800 მეამბოხე 10 იანვარს თავს დაესხნენ ქალაქ კოიუნს. ჯარს, რომელიც ქალაქს იცავდა, 200 კაცი მოუკლეს. მეამბოხენი ქალაქს გარს შემოერტყნენ. ნანკინის ვიცე-კოროლმა მისაშველებელი ჯარი გაჰგზავნა კოიუნში.

**ვენა.** აქაური გაზეთები ერთხმად იუწყებიან, რომ მთავრობის წინადადებაზედ მორიგების შესახებ ოპოზიციამ უარი განაცხადაო, რომელიც წერილობით არის შედგენილი გრაფის აპონის მიერ. სილადის, ჩაკის და ანდრაშის, რომელთაც გარდაეცათ პასუხის შინაარსი, მინდობილი აქვსთ გააგებინონ იგი მთავრობას. სრულს განხეთქილებას, მაინცა და მაიც, არავინ მოელის. პირ იქით, ბევრნი იმას ჰფიქრობენ, რომ მორიგების შესახებ მოლაპარაკება დიდ ხანს განსტანსო.

**პარიჟი.** ტამატავაში შავი ჭირი კლებულობს.

**ვაშინგტონი.** კაბინეტს მსჯელობა ჰქონდა სამოას საქმეების შესახებ. ვინაიდგან არავითარი ოფიციალური ცნობები მიღებულ არ არის, კაბინეტი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ამ ჟამად მეტი არა შეიძლება-რა, გარდა წინადადებისა, რომ სამ დაინტერესებულ სახელმწიფოს მიერ კონფერენცია იქმნას მოწვეული. ჰფიქრობენ, რომ კონფერენცია ბერლინში შეიკრიბებაო.

**მასსოვა.** ოთხშაბათს რას-მანგაშმა და მაკონენმა ეკკლესიაში ფიცი მისცეს ერთმანეთს მშვიდობიანობის დაცვის შესახებ. როგორცა სჩანს, ზავი მანგაშას უნდა ეთხოვოს, რომელსაც საძნელოდ დაუნახავს ადა-აგამუსის დაცვა იმის შემდეგ, რაც მაკონენმა სიმაგრე დაიჭირა ალეკვანის მთებზედ. მაკონენის ჯარმა უკვე უკან დახევა დაიწყო სამხრეთისაკენ. ეს იმასა ჰგავს, ვითომც მაკონენს ხელი აეღოს იმ განზრახვაზედ, რომ ადა-აგამუსში დავრჩებიო. ტიგრეს წინამძღოლნი სახლში ბრუნდებიან.

**ვენა.** იმპერატორის სადღეგრძელოს ტექსტი, რომელიც წარმოთქმულ იყო სადილზედ კექსგოლმის პოლკის პატივსაცემად: „ძლიერ მადლიერი იმის გამო, რომ ჩემმა კექსგოლმის პოლკმა, თავისის უავგუსტოესის ხელმწიფის ნებართვით, იმდენადვე გრძნობიერად, რამდენათაც დიდებულად იდღესწაულა წლის თავი ამ პოლკის ჩემი შეფად დანიშვნისა, — მე ვიღებ ჭიქას ხელში მისის დიდებულობის მთელის რუსეთის იმპერატორის, ჩემის საყვარლის მეგობრის პატივსაცემლად, და დიდებულის მომავლისათვის ამ მხნე პოლკისა“. პოლკის კამანდირმა თავადმა დოლგორუკმა უპასუხა ფრანგულს ენაზედ, რომ ღრმად მაგრძნობინა იმპერატორის ყოვლად მოწყალე სიტყვემა და ვსვამ, მთელის პოლკის მაგიერ, კექსგოლმის პოლკის უავგუსტოესის შეფის სადღეგრძელოსო.

10 იანვარი.

**პეტერბურგი.** გარდაიცვალა გენერალი მიხეილ ნიკოლოზის ძე ანენკოვი, იმიერ კასპიის რკინის გზის გამყვანი.

**ვენა** რუსეთის დეპუტაცია კექსგოლმის პოლკისა შუადღისას მიღებულ იქმნა ერცჰერცოგის ოტტონის მიერ, რომელსაც თავისის ბესარაბიის პოლკის მუნდირი ეცვა.

**რეტიმნო.** ბატონიშვილი გიორგი მობრძანდა ჯავშნიანი გემით „ალექსანდრე“-თი. ნავთ-სადგურში მღვდელმა დალოცა ის, რუსეთის ჯარის სახელობით, წმიდის გიორგის ხატით. მიიღო-რა საპატიო დარაჯი, ბატონიშვილი ტაძარში წავიდა. ყველანი ალტაცებით ეგებებიან. თითოეულ ფეხის ნაბიჯზედ ალტაცებული ხმაურობა ისმოდა. აივნებიდგან და ფანჯრებიდგან ყვავილებსა და მუხის შტოებს ისროდნენ. ტაძრიდგან ბატონიშვილი მეჩეთში წავიდა. მეჩეთში ლოცვის შემდეგ, განუწყვეტელი ძახილი ისმოდა „ზიტო“-სი. შემდეგ ჯარები დაათვალიერა და აფიცრები ინახულა. მოედანზედ ხალხი იყო თავმოყრილი 10,000 კაცამდე. სასახლეში დეპუტაციები წარსდგენ, რომელთაც ბატონიშვილმა სიტყვით მიჰმართა. აგრეთვე ხალხსაც მიჰმართა სიტყვით ფანჯრიდგან. საუზმეს შემდეგ, ბატონიშვილმა დაათვალიერა ბაღი, რომელიც გაშენებულია ციხის ნანგრევებზე, თავისის ხელით დარგო ბზა და ციხის სანახავად წავიდა. სასახლის წინ მუსიკას უკრავენ, ხალხი დასეირნობს, სიმღერაა და თამაში. საღამოს სადილი იყო გამართული აფიცერთა საკრებულოში და შუშხუნები აუშვეს. ქალაქი მშვენივრად არის გაჩირაღდნებული და მორთული ბაირაღებით.

**ბრიუსელი.** ღია წერილში რუსეთის იმპერატორისადმი გაზეთი „პატრიოტი“ ამბობს, რომ ბელგია, იმისდა მიუხედავად, რომ დიდ სახელმწიფოებისაგან ხელ-უხლებლობა აქვს მინიჭებული, იძულებული არის სამხედრო სახელმწიფოების მხრივ, მუდამ თოფ-იარაღს იმატებდესო. გაზეთი სურვილს აცხადებს, რომ კონფერენციამ სამუდამოდ დაადგინოს ნეიტრალურ სახელმწიფოების უფლება, განსაკუთრებით ბელგიისა; გამოარკვიოს მეომარ სახელმწიფოების უფლება ნეიტრალურ სახელმწიფოების შესახებ; სავალდებულოდ ჰყოს მედიატორული სამართალი იმ შემთხვევაში, უთანხმოება თუ მოუვიდათ ერთმანეთთან ნეიტრალურ და დიდ სახელმწიფოებს, და დაიცვას ხელ-შეკრულობით ხელ-უხლებლობა ნეიტრალურ ქვეყნებისაო.

**ქაირი.** ბრძანება არის ხელმოუწერელი კეტჩენერის დანიშვნის შესახებ სუდანის გენერალ გუბერნატორად.

11 იანვარი

**პეტერბურგი.** 10 იანვარს ანიჩკოვის სასახლეში, უმაღლესის თანადასწრებით, მიაკრეს კავალერ გრადის რაზმის ახალი შტანდარტი.

**ვაშინგტონი.** გერმანიის ელჩმა გადასცა სტატს-სეკრეტარს ბერლინიდგან მოსული დეპეშები და დიდ ხანს ითათბირა იმასთან სამოას შესახებ. საქმის მშვიდობიანად გათავებას შესაძლებლადა სთვლიან, რადგანაც ჰფიქრობენ, რომ ბერლინის მთავრობა არ თანაუგრძნობს ბერლინის ხელ-შეკრულების დარღვევას სამოას შესახებაო.

**პარიჟი.** ესტერგაზი ხვალ საკასაციო სასამართლოს წინაშე წარსდგება.

**ათინა.** დიდი მიწის-ძვრა მოხდა პელოპონეზში. ორი სოფელი — ფიატრა და სტატი — განადგურებულ იქმნა. ქალაქ ფილიატრიდგან მცხოვრებლები გაიხიზნენ. სახლების კედლები დასქდა ჯერ არ იციან ხალხი დაიღუპა თუ არა.

## შემოწირულება

დუშეთის წიგნთ-საცავს შემოსწირეს: შიო დედაბრიშვილმა 35 ქართული და რუსული წიგნი, ღირებული 35 მან., გ. ა. ყარანგოზიშვილმა — გაზ. „მეურნე“ 1899 წლისა და 15 მანეთის რუსული სამეურნეო წიგნაკები, ვ. როინაშვილმა — მწერლების სურათები, ი. ი. ჩეხოვსკიმ, ექიმმა გუბარევმა და არშაკ ტერტეროვმა — რვა წიგნი და ხუთგვარი სხვა და სხვა რუსული ჟურნალი.

წიგნთ-საცავის გამგეობა მადლობას უცხადებს ყველა შემომწირველთ.


# განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება

ახალი ქართული წიგნი

## სიტყვიერების თეორია

სალიტერატურო ნიმუშების კრებულით ანუ ქრისტომატიით, რომელიც ორ-ნაწილად არის შემდგარი.

წიგნი დანიშნულია სახელმძღვანელოდ და სახმარებლად სათავად-აზნაურო სკოლებისა, სასულიერო სასწავლებლებისა, საოსტატო და სამართლ-მადიდებლო სემინარიებისა და დედათა საეპარქიო სკოლებისათვის.

შედგენილია კირიონ ჭლაკვერიძის ეპისკოპოსისა და გრიგოლ ყიფშიძის მიერ.

მოკლე შინაარსი სიტყვიერების თეორიისა: წინასიტყვაობა. — შესავალი. — თეორია ენისა ანუ სტილისტიკა. — პროზა ანუ თეორია პროზისა. — თეორია პოეზიისა. — პოეზია საეპიკო და სალირიკო. — სადრამო პოეზია.

მოკლე შინაარსი სალიტერატურო ნიმუშების კრებულისა: ნაწილი I. აღწერანი მარტივნი და მხატრობითნი. — მგზავრის წერილები. — მოთხრობითნი თხზულებანი, ბიოგრაფია და დახასიათებანი. — მსჯელობითნი თხზულებანი. — საორატორო პროზა: მჭევრმეტყველება საპოლიტიკო, სახოტბო და სასულიერო.

ნაწილი II. საეპიკო პოეზია. — საერო ეპოსი. — ესკიზი, ამბავი და მოთხრობა. — იდილიები, იგავ-არაკნი და ბალადები. — სალირიკო პოეზია: სატირა, ოდა, ელეგია, სალირიკო ლექსნი, ლექსნი, დაწერილნი საერო კილოზედ, ხალხურნი ლექსნი, ჰიმნი, მადრიგალი, ეპიტაფია, ეპიგრამა. (ამ უკანასკნელს განყოფილებაში მოთავსებულია, სხვათა შორის, საუკეთესო სალირიკო ლექსები ჩვენის პოეტებისა).

მთლად წიგნი, ესე იგი სიტყვიერების თეორია და დამატება (ქრისტომატია) ორ ნაწილად, საკმაოდ მოზრდილის ტანისაა და შეიცავს 640 გვერდს ანუ სტამბის $20^{1}/_{2}$ თაბახს და ჰღირს

## ერთი მანათი.

წიგნის მაღაზიებს და საზოგადოდ ყველას, ვინც ათს ცალზედ ნაკლებს არ იყიდის ნაღდს ფულზედ, 20% დაეთმობა.

საწყობი წიგნისა „წერა-კითხვის საზოგადოების“ მაღაზიაშია. იქვე ისყიდება ახალი ქართული წიგნი

უცხო მწერალთა ამბავნი და მოთხრობანი

თარგ. გრ. ყიფშიძის მიერ.

**ფასი სამი შაური.** (10—6)

გამოვიდა მეორე წიგნი

**რუსულ-ქართულის ენციკლოპედიურის ლექსიკონისა**

ივანე როსტომაშვილის რედაქციით.

ფასი მთელის გამოცემისა (15 წიგნისა, დიდის ზომისა, თითო 200 გვერდამდის, წვრილის ასოებით აღბეჭდილი) — მარტო 12 **მანეთი**, რომელიც ხელის-მომწერს შეუძლიან ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანოს: პირველად ორი მანეთი (გაეგზავნება ორივე წიგნი), ხოლო დანარჩენი ათი მანეთი ისევ ორ-ორ მანეთობით ახალის წიგნების მიღების შემდეგ. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ რუსულს ენაზედ ისეთი ლექსიკონები ღირს ხუთი და ათი თუმნები და ვერც ჩვენს მკითხველს დააკმაყოფილებენ სავსებით, რადგანაც მათში თითქმის არაფერი ცნობა არ მოიპოვება ჩვენის ქვეყნის შესახებ, — ყველა დაგვეთანხმება, რომ მოხსენებული ფასი ჩვენის ლექსიკონისა სულ მცირეა და ამიტომ ყველასათვის ხელ-მისაწვდენი. მესამე წიგნი ასო **ვინზე** გამოვა მარტის გასულს.

ტფილისში ხელის-მოწერა მიიღება ავტორთან და წერა კითხვის გამ. საზოგადოების და ბ. ნ. ხიდეკელის წიგნის მაღაზიებში, ხოლო ქალაქ გარეშე ხელის-მომწერლებმა ფული და წერილები უნდა გამოგზავნონ: въ Тифлисъ, Давид. площ. № 6, Ивану Павловичу Ростомову. (5—4)

## იყიდება იაფად და პირიანად

სხვა და-სხვა საგალანტერეინო საქონელი: ქოლგები, ხელთათმანები, მარაოები, ლენტები, არშიები, ჩულქები, კორსეტები, პირ-ბადეები და ქალისა და კაცის სხვა სამკაული

## შკაფი № 21.

თამამშევის ქარვასლაში, ფორაქოვის მაღაზიის პირდაპირ.

ყველა საქონელი კარგის ღირსებისაა.

(20—6.—8) ი. ნიკოლაშვილი


Дозволено цензурою, Тифлисъ 11 го Января 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე